მიგრაცია

სავარჯიშოების კრებული

მოამზადა მაია ბლიაძემ

N1. გეოგრაფიული ამოცანა

ა. N ქვეყნის მოსახლეობა 6 მლნ ადამიანია. ბუნებრივი მატება 0,8% წელიწადში. რამდენი იქნება ქვეყნის მოსახლეობა 1 წლის შემდეგ, თუ ემიგრაცია 7000-ს, ხოლო იმიგრაცია 12 000 ადამიანს შეადგენს წელიწადში.

ამოხსნა:

6000000 x 0,8% / 100 = 48000 ადამიანი

6000000+48000=6048000 ადამიანი (მოსახლეობის ბუნებრივი მატების გზით)

6048000-7000+12000= 6053000 ადამიანი მოსახლეობის რაოდენობა წლის ბოლოს

N2. რუკაზე მუშაობა

ა. მოცემული და მსოფლიოს პოლიტიკური რუკების გამოყენებით დაადგინეთ რეგიონები, სადაც ადგილი აქვს მიგრაციულ პროცესებს.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროგნოზირებადი კრიზისული სიტუაციები



ბ. მსოფლიოს კონტურულ რუკაზე აღნიშნეთ ძირითადი მიგრაციული კორიდორები.

N 3. ცხრილებზე მუშაობა

ა. შეავსეთ ცხრილი:

მიგრაციის სახეები	მიგრაციის მიზეზები	საიდან?	საითკენ?
პოლიტიკური			
ეკონომიკური			
შრომითი			
კლიმატური			
სასწავლო/სტუდენტური			

ბ. გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტყვებსა და წინადადებებს და ჩაწერეთ ისინი ცხრილის შესაბამის სვეტებში

- კლიმატის ცვლილება
- უკეთესი საცხოვრებელი
- ომები, რომლებიც წარმოქმნიან ლტოლვილებს
- სიღარიბე
- რასობრივი დისკრიმინაცია
- დასაქმება და მაღალი ხელფასი
- უკეთესი ჯანდაცვა და განათლება
- შიმშილი
- გაუმჯობესებული პერსპექტივები
- უფრო სუფთა და უსაფრთხო გარემო
- ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად ყოფნა
- ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების არ არსებობა
- უმუშევრობა
- ცხოვრების უკეთესი პირობები
- იძულებითი შრომა – მონობა და ტყვეობა
- რელიგიური/პოლიტიკური დევნა
- ბუნებრივი კატასტროფების გახშირება
- გადაჭარბებული მოსახლეობა
- გართობა
- მიწის პრობლემა

განდევნის ფაქტორები (იძულებითი მიგრაცია)	მიმზიდველობის ფაქტორები (ნებაყოფლობითი მიგრაცია)

გ. დაადგინეთ, რა სახის მიგრაციას მიეკუთვნება და რა მიზეზებმა განაპირობა ცხრილში მოცემული მაგალითები:

მიგრაციის მაგალითი	მიგრაციის სახე	გამომწვევი მიზეზი
შრომითი მიგრაცია აზიიდან და ლათინური ამერიკიდან ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და ოპეკის ქვეყნებში.		
გადაადგილება სოფლიდან ქალაქში.		
ბერძნების დაბრუნება საქართველოდან საბერძნეთში.		
მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიიდან მოსახლეობის გამგზავრება სხვა ქვეყნებში.		
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეთნიკური გერმანელების ჩასვლა გდრ-დან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და იმდროინდელი სსრკ-დან.		

N 4. სურათების ანალიზი

განიხილეთ სურათები და დაადგინეთ, რა სახის მიგრაციებს ასახავს თითოეული მათგანი და რა შეიძლება იყოს მათი გამომწვევი მიზეზები.

N1

N2

N3

N 5. ვიდეოს ანალიზი

უყურეთ ვიდეოს

https://www.youtube.com/watch?v=HLhtnQWWwv8&t=135s

და უპასუხეთ კითხვებს:

ა. ძირითადად, რა მიმართულებით ხდებოდა მიგრაციები?

ბ. რა ფაქტორები უბიძგებს ადამიანებს გახდნენ მიგრანტები?

გ. რა სახის მიგრაციებია გავრცელებული თანამედროვე გლობალურ სამყაროში და რატომ?

დ. რა გეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს თითოეული სახის მიგრაციას?

N 6. სადისკუსიო კითხვები

1. როგორ ფიქრობ, რას გულისხმობდა გეოგრაფი ა.ი. ვოეიკოვი, როდესაც წერდა: ”მოსახლეობის განსახლებაში გადამწყვეტია არა იმდენად ადამიანის გარემომცველი გარემო, არამედ თავად ადამიანი”.
2. როგორ მოქმედებს მიგრაცია მსოფლიოში დემოგრაფიულ მდგომარეობაზე?
3. რა პრობლემების წინაშე დგანან მიგრანტების მიმღები ქვეყნები?

4. რომელი დარგის და საქმიანობის სფეროს სპეციალისტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო მიგრაციის პროცესში?
5. საერთაშორისო მიგრაციის თვალსაზრისით, რომელ ქვეყნებს ჰქვიათ დონორი ქვეყნები და რომელ ქვეყნებს - მიმღები?
6. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ემიგრაციის თავიდან ასაცილებლად? დაასახელეთ საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი მიზეზები.
7. რომელი ქვეყნები შეიძლება გახდნენ ან უკვე არიან კლიმატური მიგრაციის საფრთხის ქვეშ?
8. მიგრაციის რომელი სახეა აქტუალური საქართველოსთვის და რამ განაპირობა ეს?
9. არის თუ არა შესაძლებელი საქართველოში კლიმატური მიგრაცია? პასუხი დაასაბუთეთ.
10. როგორ შეიძლება შეიცვალოს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შრომითი ემიგრაციის შედეგად?

N 7. გეოგრაფიული კვლევა

გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია (გრაფიკი და რუკა) და დაწერეთ მოკლე მიმოხილვა იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ.

N1. იძულებით გადაადგილებული პირების დინამიკა მსოფლიოში, მლნ ადამიანი


მლნ ადამიანი
50
40
30
20
10
0
15,2
41,3
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016
2017
2018
2020

N2. იძულებით გადაადგილებული პირების ძირითადი კერები მსოფლიოში, 2020 წელი



N 8. დავალებების მენიუ

1. **კვლევითი დავალება:**

თემა: "მიგრაციის სალდო სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე"

გამოიყენეთ მოცემული და მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, ასევე დამატებითი რესურსები, აირჩიეთ სამი ქვეყანა და შეისწავლეთ მათი მიგრაციის სალდო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. გააანალიზეთ, როგორ მოქმედებს მიგრაციის სალდო ამ ქვეყნების ეკონომიკასა და დემოგრაფიულ სტრუქტურაზე.

დავალება წარმოადგინეთ პრეზენტაციის ან სტატიის სახით, რომლებიც გაფორმებული იქნება გრაფიკებითა და სტატისტიკური მონაცემებით.


მსოფლიოს ქვეყნები მიგრაციის სალდოს მიხედვით 1000 ადამიანზე, 2022 წელი
დადებითი
0 to 4
5 to 9
10 to 45
უარყოფითი
0 to -4
-5 to -9
-10 to -42
წყარო: United Nations Population Division

დამატებითი რესურსები:

https://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM?view=map

https://data.worldbank.org/indicator/SM.POP.NETM

Net migration rate - https://www.cia.gov/the-world-factbook/field/net-migration-rate/country-comparison/

https://www.cia.gov/the-world-factbook/field/net-migration-rate

List of sovereign states by net migration rate - https://en.wikipedia.org/wiki/List_of_sovereign_states_by_net_migration_rate

1. ანალიტიკური დავალება

თემა: "მიგრაციის მიზეზები და შედეგები"

მოამზადეთ ანალიზი მიგრაციის ძირითად მიზეზებსა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი) და შედეგებზე როგორც მიმღები, ასევე გამგზავნი ქვეყნებისთვის.

ნამუშევარი წარმოადგინეთ ესეს ან მოხსენების სახით, სადაც გაანალიზებული იქნება თითოეული ფაქტორის გავლენა მიგრაციაზე.

2. ინფოგრაფიკის მომზადება

თემა: "მიგრაციის სალდოს გავლენა მოსახლეობის სტრუქტურაზე".

შექმენით ინფოგრაფიკა, რომელიც აჩვენებს, როგორ მოქმედებს მიგრაციის სალდო ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურაზე (ასაკობრივი, გენდერული, ეთნიკური შემადგენლობა).

ინფოგრაფიკაზე ადვილად და გასაგებად უნდა იყოს აღწერილი მიგრაციის სალდოს გავლენა მოსახლეობის სტრუქტურაზე.

3. სტატისტიკური ანალიზი

თემა: "მიგრაციის სალდოს სტატისტიკური ანალიზი".

გაეცანით ინტერნეტ ბმულზე https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების მონაცემებს და ჩაატარეთ თქვენ მიერ შერჩეული 10 -20 ქვეყნის მიგრაციის სალდოს სტატისტიკური ანალიზი. შეადარეთ მიღებული მონაცემები და იპოვეთ ტენდენციები.

ნამუშევარი წარმოადგინეთ სტატისტიკური ანგარიშის სახით გრაფიკებისა და ცხრილების გამოყენებით.

4. სოციალური კვლევა:

თემა: "მიგრანტების ადაპტაცია ახალ გარემოში"

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვარი, ჩაატარეთ ინტერვიუები ან გამოკითხვები მიგრანტებთან და შეისწავლეთ მათი ადაპტაციის პროცესები ახალ გარემოში. დაადგინეთ, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი და რა ღონისძიებებმა შეიძლება გააუმჯობესოს მათი ინტეგრაცია.

ნამუშევარი წარმოადგინეთ კვლევითი ანგარიშის ან მოკლე ვიდეოს სახით, სადაც ასახულია მიგრანტების გამოცდილება და რეკომენდაციები მათი ინტეგრაციის გაუმჯობესებისთვის.

კითხვარის ნიმუში:

1. რატომ გადაწყვიტეთ მიგრაციაში წასვლა?

(პირადი, პროფესიული, თუ ეკონომიკური მიზეზები იყო ძირითადი ფაქტორი?)

2. მიგრაციის გადაწყვეტილების მიღებისას, რა მთავარი გამოწვევები გქონდათ?

(ოჯახის დატოვება, ენობრივი ბარიერები, ფინანსური საკითხები და ა.შ.)

3. როგორ მოამზადეთ თავი მიგრაციისთვის?

(მოსამზადებელი პროცედურები, ინფორმაციის მოძიება, საჭირო დოკუმენტები და ა.შ.)

4. რა იყო ყველაზე დიდი სირთულე, რაც მიგრაციის დაწყებისთანავე შეგხვდათ?

(კულტურული განსხვავებები, სამუშაოს პოვნა, საცხოვრებელი, ენა და ა.შ.)

5. როგორ შეეგუეთ ახალ გარემოს?

(რა ნაბიჯები გადადგით ადაპტაციისთვის, მეგობრების შესაძენად და კომუნიკაციის დამყარების კუთხით და ა.შ.)

6. რა ენობრივი სირთულეები გქონდათ და როგორ დაძლიეთ ისინი?

(ენის შესწავლის მეთოდები, დახმარება თუ მიიღეთ, ენის შესწავლის კურსები და ა.შ.)

7. როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება ახალი ქვეყანაში?

(პიროვნული ზრდა, ახალი შესაძლებლობები, იყო თუ არა რამე არაკომფორტული და არასასიამოვნო გამოცდილება)

8. რა როლი შეასრულა ადგილობრივმა საზოგადოებამ თქვენი ადაპტაციის პროცესში?

(დახმარება, მხარდაჭერა, საზოგადოების მიერ მიღება და ა.შ.)

9. როგორ შეაფასებდით თქვენს მიგრაციულ გამოცდილებას?

(რა მთავარი მიღწევები ან წარუმატებლობები გაქვთ ამ გზაზე?)

10. რა რჩევას მისცემდით ადამიანებს, რომლებიც მიგრაციაზე ფიქრობენ?

(რა უნდა გაითვალისწინონ, რას ურჩევთ ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად?)

5. შემოქმედებითი დავალება:

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოში გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და დანერგვა გააქტიურდა. 2006 წლიდან სხვადასხვა შეთანხმების ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ფონდებმა მხარი დაუჭირეს განვითარებად ქვეყნებში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის თითქმის 400 პროექტს, რომელთა ნახევარი 2015 წლის შემდეგ დაიწყო. მათი უმეტესობა სოფლის მეურნეობისა და წყლის მენეჯმენტის, გვალვების, ნალექების ცვალებადობის, წყალდიდობისა და სანაპირო ზოლების პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული.


აღმოსავლეთ ევროპა
დასავლეთ ევროპა
და სხვა ქვეყნები
ლათინური ამერიკა
და კარიბის ზღვის
აუზი
აფრიკა
აზია-წყნარი ოკეანე
ტემპერატურის ცვლილება
ინტენსიური
ნალექები
დაუზუსტებელი
გვალვა
სანაპირო ზოლი (შტორმები და
ზღვის დონის ცვლილება)

მსოფლიოს ქვეყნები იმ პროექტების მიხედვით,, რომლებიც გარემოზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს იყენებენ ცვალებად კლიმატთან ადაპტაციისთვის. რუკაზე ნაჩვენებია ინვესტიციების რაოდენობა ქვეყანების მიხედვით, იმ ქალაქების გეოგრაფიული მდებარეობა, რომლებიც გარემოზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საქმიანობას აფიქსირებენ (წითელი წერტილები) და რისკების რეგიონული განაწილება, რომელთა გადაჭრა გარემოზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით ხდება (წრიული დიაგრამები)

უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა არა მხოლოდ პროექტების რაოდენობა, არამედ მათი მასშტაბებიც. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში განხორციელებულ პროექტებს იშვიათად ჰქონდათ 10 მილიონ დოლარზე მეტი ბიუჯეტი, 2017 წლიდან მოყოლებული, 21 ახალი პროექტის ბიუჯეტმა 25 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მწვანე კლიმატის, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების დახმარებისა და ასევე კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ფონდებმა ერთობლივად 20 მილიონზე ღირებულების მეტი პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტორი მიიზიდეს. თუმცა, სამეცნიერო სტატიებში განხილულმა ადაპტაციის ღონისძიებების შემაჯამებელმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი უმეტესობა განხორციელების ადრეულ ეტაპებზეა და მხოლოდ 3%-მა აჩვენა კლიმატის რისკების ფაქტობრივი შემცირება. ანგარიშში ნათქვამია, რომ გადაუდებელი აუცილებლობაა, შეგროვდეს მეტი მონაცემი ადაპტაციის პროექტებისა და ინიციატივების გავლენის შესახებ მთელ მსოფლიოში. ანგარიში რეკომენდაციას უწევს აქტიურ ქმედებებს ქვეყნებში ადაპტაციის პროექტების განსახორციელებლად.

მაგალითი

სან-სალვადორი - ქალაქი „ღრუბელი“

სურათზე სალვადორელი ფერმერი ჰექტორ ველასკესი თავის ყავის პლანტაციებში ჩამოწოლილი მეწყრის გვერდით დგას. ეს მეწყერი 154-დან მხოლოდ ერთ-ერთია, რომელიც შტორმმა „ამანდამ“ გამოიწვია სან-სალვადორში.

როცა დღევანდელი ყავის ფერმერი ჰექტორ ველასკესი ბავშვი იყო, მის მშობლიურ ქალაქ სან-სალვადორში რვა თვის განმავლობაში მსუბუქად, მაგრამ თითქმის ყოველ დღე წვიმდა. თუმცა ბოლო წლებში, კლიმატის ცვლილების შედეგად, სალვადორში ექსტრემალური შტორმული მოვლენები გახშირდა. წყალდიდობა და მეწყერი აზიანებს ნიადაგის ზედა, ნაყოფიერ ფენას, და მასთან ერთად ყავის პლანტაციებსაც, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის.

სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება. ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა და ყავის ფერმერებმა, UNEP-ისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით, 1150 ჰექტარი ტყისა და ყავის პლანტაციების აღდგენის პროექტი დაიწყეს. პროექტი, რომელიც CityAdapt -ის სახელითაა ცნობილი, მარტივ გადაწყვეტილებაზეა დაფუძნებული: ხეები და სხვა მცენარეულობა, როგორც ღრუბლები ისე გამოიყენება წყლის შესაგროვებლად, რომელიც ნიადაგში ჟონვისას აფერხებს ეროზიას, ამცირებს წყალდიდობას და ავსებს მიწისქვეშა წყლების მარაგს გვალვის დროს. პროექტის CityAdapt-ის ფარგლებში ელ-სალვადორში უკვე 3500-ზე მეტი ძირი ხეა დარგული, რომლებმაც 2022 წლის მონაცემებით, 115000 ადამიანისთვის წყალდიდობის რისკები უკვე შეამცირა.

დავალება:

წარმოიდგინეთ, რომ საერთაშორისო ფონდში მუშაობთ, რომელიც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ბრძოლასთან დაკავშირებულ პროექტებს აფინანსებს. მოამზადეთ მოხსენება, რომელშიც დაასაბუთებთ ღარიბი განვითარებადი ქვეყნების დასახმარებელ რომელ პროექტებს დააფინანსებდით უპირველესად და რატომ.